საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 2011 წლის 24 ოქტომბერი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 79

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების გახსნის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, პროფესორ-მასწავლებელთა მიერ ინგლისურენოვანი ლიტერატურის გაცნობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების, უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მობილობისა და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის გაიხსნას ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

2. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**